ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N4

სხდომის ჩატარების დრო:
25 იანვარი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მაგდა კოსტავა, თეიმურაზ ნადირაძე, ამირან კოპალეიშვილი, მამუკა რიჟამაძე, ზაქრო მამასახლისი, მაია სიმონიძე, ბესიკ ბრეგაძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, დავით ბახტაძე.

სულ: 11 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი.

სულ: 2 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **მირზა მამასახლისი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, **ირაკლი შენგელია,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გია ბასილაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **ბესიკ ხამაშურიძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **კობა გურული,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **თედო მესხი.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან სანიკიძემ** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „ოპპასათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქველმოქმედო საზოგადოება ქუთაისელისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მადლისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ" თვითმმართველი ქალაქის-ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 10 ოქტომბრის N1080 ბრძანების საფუძველზე, 2013 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებული ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების N50 საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ბორის ჯამბურიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე გრიგოლ წერეთელისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე თალიკო გურეშიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხი წარმოადგინა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ:**

I კვარტალი

1	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ლევან სანიკიძე	25.01.2022
2	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი მირზა მამასახლისი	08.02.2022
3	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის	22.02.2022

		ხელმძღვანელი მირზა მამასახლისი	
4	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საპრივატიზებო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების მდგომარეობის შესწავლის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი მირზა მამასახლისი	15.03.2022
5	ა) კომისიაში შემოსული კორესპონდენციის განხილვის შესახებ ბ) მიმდინარე საკითხები	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ლევან სანიკიძე	29.03.2022

II კვარტალი

1	ქალაქ ქუთაისში არსებული უსახელო ქუჩებისა და შესახვევების სახელდების შესახებ	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ლევან სანიკიძე	12.04.2022
2	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საპრივატიზებო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების მდგომარეობის შესწავლის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი მირზა მამასახლისი	26.04.2022
3	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის მიერ მიმდინარე სამუშაოების განხილვის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ჯონდო არაბიძე	10.05.2022

4	კომისიაში შემოსული კორესპონდენციის განხილვის შესახებ	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ლევან სანიკიძე	24.05.2022
5	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში არსებული მდგომარეობის განხილვის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი მირზა მამასახლისი	14.06.2022
6	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის მიერ გაწეული 6 თვის სამუშაოს თაობაზე ანგარიშის მოსმენა	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ლევან სანიკიძე	28.06.2022

III კვარტალი

1	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი მირზა მამასახლისი	14.07.2022
2	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების" ხელმძღვანელი თენგიზ არსენიძე	26.07.2022
3	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხილვის შესახებ.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელი ბექა ყურაშვილი	30.08.2022

4	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ ხელმძღვანელი მალხაზ ბასილაძე	13.09.2022
5	ა) კომისიაში შემოსული კორესპონდენციის განხილვის შესახებ ბ) მიმდინარე საკითხები	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ლევან სანიკიძე	27.09.2022

IV კვარტალი

1	ზამთრის პერიოდის დადგომასთან დაკავშირებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის განხილვის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელი ბექა ყურაშვილი	25.10.2022
2	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახურის მიერ, 2022 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების თაობაზე ანგარიშის მოსმენა	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელი ბექა ყურაშვილი	15.11.2022
3	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების თაობაზე ანგარიშის მოსმენა	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი მირზა მამასახლისი	29.11.2022
4	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის მიერ, წლის	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო	20.12.2022

	განმავლობაში გაწეული სამუშაოს თაობაზე ანგარიშის მოსმენა	მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ლევან სანიკიძე	
5	2023 წლის ბიუჯეტის პროექტით გასათვალისწინებელი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესახებ	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ლევან სანიკიძე	27.12.2022

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მოწონებულ და დადებითად შეფასებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2022 წლის გეგმა-გრაფიკი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის-**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „ოპპასათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მირზა მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.მამასახლისმა** აქვე განმარტა: „მოგესალმებით, სასიამოვნოა თქვენთან საქმიანობა, პირველად ვარ თქვენს სხდომაზე და წარმატებებს გისურვებთ ყველას, რაც შეეხება უშუალოდ საკითხს, „ოპპა" გახლავთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელმაც წერილობით მომართა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას, ითხოვდა უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემას, მოგახსენებთ შინაარსობრივ მხარეს, ეს ორგანიზაცია ოპერირებდა სწრაფი ჩარიცხვის აპარატების მიმართულებით ჩვენს ქალაქში და 2019 წლიდან 2 წლის ვადით ჰქონდა გადაცემული კონკრეტული ქონებები, თუმცა

როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ ადამიანმა უარი განაცხადა ქონებების იჯარით განკარგვაზე და უკვე წერილიც დაწერილი აქვს, გამომდინარე აქედან, შემოვდივარ ინიციატივით, აღნიშნული საკითხი არ იქნეს განხილული, სამწუხაროდ ჩემთვის მისი ამ გადაწყვეტილების მოტივი უცნობია."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე:** „შესაძლოა იჯარის გადასახადი ეძვირა და გადაიფიქრა, შევაჩეროთ ეს საკითხი, თუ შესაძლებელია გავმართოთ მოლაპარაკება მათთან, გავიგოთ მიზეზი ან მოტივი, თუ ვადა გაუვიდა აიღოს ეს აპარატები, თუ გადაიფიქრებს გააგრძელებს საქმიანობას, შევისწავლოთ სიღრმისეულად და შემდეგ განვიხილოთ კანონის ფარგლებში."

კომისიის წევრი, ბატონი **ზაქრო მამასახლისი:** „რას ითხოვდა ეს ორგანიზაცია?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **მირზა მამასახლისი:** „2019 წელს, 2 წლის ვადით შპს „ოპპა"-ს გადაეცა ქალაქ ქუთაისში დაახლოებით 140 წერტილამდე ადგილი, სადაც უნდა განეთავსებინა სწრაფი ჩარიცხვის აპარატები, ამ ორგანიზაციამ განათავსა ეს აპარატები, იხდიდა საიჯარო ქირას და ვადის გასვლის შემდეგ კვლავ მომართა თვითმმართველობას, მოითხოვა რამდენიმე ტერიტორიის გაუქმება და რამდენიმეს დამატება სხვა, ახალ ადგილებზე, ჩვენ გავუშვით სპეციალისტები, შევისწავლეთ, დავამუშავეთ, მოვნიშნეთ ეს ლოკაციები და შემოვიტანეთ საკრებულოზე, წარმოდგენილი რედაქციით კვლავ ითხოვდა აღნიშნული ადგილების პირდაპირი წესით, იჯარის ფორმით გადაცემას და საიჯარო ქირა განესაზღვრა 34 800 ლარით, ზუსტად ამ წარმოდგენილ პროექტზე შემდეგ თვითონ შეიკავა თავი და განაცხადა უარი."

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „ცოტა პრაქტიკულად ვუყურებ ამ ამბავს, 140 ადგილზე ამ აპარატებით სარგებლობს მოსახლეობა, თუ ეს აიღებს ამ აპარატებს და გავა ბაზრიდან, ეს მოსახლეობას დააზარალებს ჩემი აზრით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **მირზა მამასახლისი:** „აბსოლიტურად გეთანხმებით, შემოსავლის მხრივაც და მოქალაქეების კომფორტის კუთხითაც, თუ ბაზარზე გაჩნდება მოთხოვნა, ბევრი ოპერატორია, ვინც მოისურვებს შემდეგ იჯარის გაფორმებას."

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „მოსაზრება მაქვს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ცუდი არ იქნება სამსახურმა იმუშაოს ადგილების განსაზღვრაზე, მაგალითად გაჩერებებზე, ჩვენ ბიზნესს ჭკუას ვერ ვასწავლით, თუმცა ამ სფეროს წარმომადგენლებთან კონსულტაციებით განვსაზღვროთ ადგილები და ჩვენ შევთავაზოთ იმ ადგილებში განთავსება, სადაც არ არის ხელმისაწვდომი ეს აპარატები."

კომისიის წევრი, ბატონი **ბესიკ ბრეგაძე:** „ერთს დავამატებ აღნიშნულ საკითხს, არც ერთი აპარატი, გარდა ჭავჭავაძის გამზირზე არსებული აპარატისა, არ არის ადაპტირებული შშმ პირებზე, ეს მეტად საყურადღებო საკითხია და პირობითად ერთ მუნიციპალიტეტს, რომ მაინც ჰქონდეს ერთი ასეთი სწრაფი ჩარიცხვის აპარატი, ვფიქრობ, კარგი იდეაა."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „ოპპასათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" გადადებულ იქნეს სამომავლო განხილვისათვის, მისი ძირეულად შესწავლის მიზნით.

მუხლი 2. დღის წესრიგის მე-2 საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა არსებული შენიშვნის გათვალისწინებით თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის-**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მირზა მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.მამასახლისმა** აქვე განმარტა: „თქვენ იცით, რომ ეს პრობლემა დიდი ხანია იდგა და მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრს დღემდე არ ჰქონდა როიალი, მოხდა აღნიშნული როიალის შესყიდვა, გადმოეცა მუნიციპალიტეტს და

ავიყვანეთ ბალანსზე, ამ ეტაპზე შემოვდივართ ინიციატივით, რომ ეს როიალი გადავცეთ თეატრს შესაბამისი პირობებით, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში."

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 10 წევრი, თავი შეიკავა: ბატონმა ბესიკ ბრეგაძემ)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე" და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მე-3 საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის-**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქველმოქმედო საზოგადოება ქუთაისელისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მირზა მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.მამასახლისმა** აქვე განმარტა: „საქველმოქმედო საზოგადოებაში ქუთაისელისათვის" გაწევრიანებულია ჩვენი ქალაქის ბევრი ღვაწლმოსილი და პატივსაცემი ადამიანი, ისინი საქმიანობენ თამარ მეფის ქუჩაზე, აღნიშნული ქონება აქამდე ეკუთვნოდა სახელმწიფოს, სახელმწიფომ გადმოგვცა ქონების ნაწილი, საერთო ფართობით 237 კვადრატული მეტრი, რომელშიც ხსენებული საზოგადოება ფუნქციონირებდა, აღნიშნული

განკარგულების პროექტით შემოვდივართ ინიციატივით, რომ ეს ქონება მიზნობრივად სასყიდლიანი უზუფრუქტის ფორმით გადავცეთ ამ საზოგადიებას, 12 წლის ვადით აქედან 2 წელი განესაზღვროს საშეღავათო პერიოდის სახით, ხოლო ორი წლის შემდეგ გააგრძელებს სასყიდლიანი იჯარის ფორმით განკარგვას."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **ბესიკ ბრეგაძე:** „ქალაქის ცენტრში ამ ტიპის ობიექტი, რომელიც განთავსებულია საკმაოდ სტრატეგულ ადგილას, ჩემი აზრით უფრო ფუნქციონალურად შეგვეძლო გამოგვეყენებინა, მისი პრივატიზებით საკამო თანხის მობილიზება მოხდებოდა ბიუჯეტში და ვფიქრობ არ იქნებოდა ურიგო."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე:** „წლებია ამ ფართში ფუნქციონირებს ეს საზოგადოება და ასე გამოდის უნდა გამოგვეყარა ესენი გარეთ, რაც ჩემი აზრით, ძალიან უხერხულია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „ჩვენ ვსაუბრობთ საზოგადოება ქუთაისელზე, რომელიც წლების განმავლობაში ამ ქალაქს ემსახურება, ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ ამ ადამიანებს ჩვენი მუნიციპალიტეტიდან შევუწყოთ ხელი საქმიანობის განხორციელებაში და ამაზე ვდაობთ და უარს ვამბობთ? წარმოუდგენელია ჩემთვის."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მე-4 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი.

ღია კენჭისყრით,(მომხრე: 8 წევრი, წინააღმდეგი ბატონები: ბესიკ ბრეგაძე, გიორგი კილაძე, დავით ბახტაძე) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქველმოქმედო საზოგადოება ქუთაისელისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მე-4 საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის-„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მადლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის-ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 10 ოქტომბრის N1080 ბრძანების საფუძველზე, 2013 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებული ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების N50 საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მირზა მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.მამასახლისმა** აქვე განმარტა: „აღნიშნული ორგანიზაცია 2013 წლიდან სარგებლოს იჯარის ფორმით ქალაქ ქუთაისში არსებულ უძრავ ქონებებზე, კვადრატულობა თითო ობიექტზე შეადგენდა 10-დან 15 კვადრატამდე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს, მას ნებართვა ჰქონდა 20 ერთეული ტერიტორიის გამოყენებისა, სხვა და სხვა ფუნქციისათვის, ისინი ახდენდნენ საკვები პროდუქტების რეალიზაციას გარკვეული წერტილებიდან. ეს პროცესები მიმდინარეობდა და საქმიანობის შუა წელში წარმოიშვა სასამართლო დავა მუნიციპალიტეტსა და შპს-ს შორის, რაც გაგრძელდა 3-4 წელი, დავამ მოიცვა, როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო და საკასაციო სასამართლოები, რაც შეეხება მიმდინარე საკითხს, მათ წინაშე წარმოიშვა გარკვეუული პრობლემები, ისინი რაღაც პერიოდის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ სამეწრმეო საქმიანობას დავის გამო და აღნიშნულის გათვალისწინებით მომართეს მერიას და მოითხოვეს საიჯარო ხელშეკრულების ვადის გაზრდა იმ ვადით, რა ვადითაც შეეზღუდათ საქმიანობა, თქვენი თანხმობის შემთხვევაში მათ ვადა გაუგრძელდებათ 2026 წლის 31 დეკემბრამდე.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „გავაკეთებ მოკლე განმარტებას საკითხთან დაკავშირებით, 2013 წელს გაფორმდა აღნიშნული ხელშეკრულება, შემდეგ გიორგი ჭიღვარიამ ძალიან პრინციპული პოზიცია დაიკავა, არ გასცა ნებართვები, ჩაედგათ კონსტრუქციები აღნიშნულ ადგილებზე და შპს-მ სასამართლოს მიმართა, პროცესი მოიგო და ყოველივე ამის შემდეგ 2017 წელს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც უნდა გაცემულიყო ნებართვები სასამართლო გადაწყვეტილებით. მაგრამ მაქვს კითხვა, ამ ორგანიზაციას აქვს თუ არა ყველა ადგილი ათვისებული?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და

ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **მირზა მამასახლისი:** „თავდაპირველად განსაზღვრული იყო 20 ადგილი, მაგრამ შემდეგ გაფორმდა ხელშეკრულება და ახლა 11 ადგილია ათვისებული."

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „ამის თქმა მინდა, რომ ჩვენ თუ ეხლა ამ ორგანიზაციას გავუგრძელებთ ხელშეკრულებას 2026 წლამდე, დამატებით კიდევ მივიღებთ ე.წ. „ბუტკებს" ქალაქის მასშტაბით."

კომისიის წევრი, ბატონი **ბესიკ ბრეგაძე:** „როგორც ვიცი, როდესაც ნებისმიერ ობიექტს, რომელსაც აქვს მიწის ნაკვეთი იჯარის ფორმით გადაცემული, შესაბამისი ჩანაწერი ჩნდება ამონაწერში და შესაბამისი აღნიშვნა კეთდება საკადასტრო რუკაზეც, ამ ორგანიზაციაზე გადაცემული არც ერთი მიწის ნაკვეთი არ ჩანს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ეს არის ჩვენი შეცდომა, საჯარო რეესტრის შეცდომა თუ შეგნებულად არის გაკეთებული და არ უნდა ჩანდეს?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **მირზა მამასახლისი:** „ჩემთვისაც ცნობილია აღნიშნული გარემოების შესახებ, ამ საკიხით მეც დავინტერესდი, რაც ამ ორგანიზაციას 2013 წელს გადაეცა კონკრეტული ქონებები, მას შემდეგ არ იყო ეს ქონება საჯარო რეესტრში აღნიშნული, სამწუხაროდ ამის მიზეზს მე ვერ გეტყვით, მას შემდეგ რაც მე ამ სამსახურთან ურთიერთობა მომიწია, იმის გამო, რომ სასამართლო დავა იყო და ხელშეკრულება ცალმხრივად იყო შეწყვეტილი რეესტრმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია აესახა აღნიშნული ქონებები რეესტრის ამონაწერში. რაც შეეხება დღევანდელ მოცემულობას, დღეს თუ მას ხელშეკრულების ვადა გაუგრძელდება, მე გამლევთ პირობას, რომ მომდევნო კვირაში უკვე მოხდება ამ ლოკაციების რეესტრში აღნიშვნა."

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე:** „აღნიშნულ ორგანიზაციას ხელშეკრულებაში ჩადებული ჰქონდა პირობა, რომ არსებულ ბაზართან შედარებით პროდუქტებს გარკვეული 10-15 %-იანი ფასდაკლებით გაყიდდა, ამ ადამიანს დარჩენილი აქვს ხელშეკრულების ვადა კიდევ წელიწადი და შვიდი თვე, გთავაზობთ, ასე ვთქვათ, კომპრომისულ გზას, ამ პერიოდის განმავლობაში შევქმნათ კომისია, რომელიც დააკვირდება ორგანიზაციის საქმიანობას, ასრულებს თუ არა ნაკისრ ვალდებულებებს და მოვალეობებს, ყიდის თუ არა პროდუქციას ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასდაკლებით, მის მიერ ჩადგმული კონსტრუქციები არქიტექტურულად რამდენად შეესაბამება ქალაქს, ამასობაში რომ დარჩება ხელშეკრულების ამოწურვამდე 6-7 თვე და დავრჩებით ყველა ნიუანსით კმაყოფილი, გავუგრძელოთ აღნიშნული ხელშეკრულება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „ვფიქრობ ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება იქნა გაჟღერებული, ჩვენ აღნიშნულ ობიექტებს არ შევუშლით ხელს საქმიანობის განხორციელებაში, თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში კომისიურად დავაკვირდებით ყველა პირობას და ვალდებულებას

და ამის შემდეგ საკითხი დაბრუნდება საკრებულოში და ყველას თანხმობის შემთხვევაში მივიღებთ გადაწყვეტილებას.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მე-5 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

მუხლი 1. განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მადლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის-ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 10 ოქტომბრის N1080 ბრძანების საფუძველზე, 2013 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებული ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების N50 საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ გადადებულ იქნეს სამომავლო განხილვისათვის, მისი ძირეულად შესწავლის მიზნით.

მუხლი 2. დღის წესრიგის მე-5 საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ბორის ჯამბურიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მირზა მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.მამასახლისმა** აქვე განმარტა: „მოქალაქე ითხოვს კომერციულ ფართში შესასვლელ კიბის უჯრედზე ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას, აქვე ავღნიშნავ, რომ მომდევნო ორი საკითხიც ანალოგიური ხასიათისაა და თითოეული მათგანი შეეხება კიბის უჯრედის მოსაწყობად ტროტუარის ნაწილის იჯარის ფორმით საკუთრებაში გადაცემის თემას.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „ინფორმაციისთვის ავღნიშნავ, რომ წინა მოწვევის საკრებულოზე ბევრს ვმსჯელობდით კიბის მოწყობის თაობაზე და საერთო აზრი იყო, რომ არქიტექტურულად შეგვემუშავებინა ერთნაირი დიზაინი და ისე გაგვეცა ნებართვები, თუმცა ეს საკითხი დღესაც მოუწესრიგერბელია, კიდევ გთავაზობთ დავუბრუნდეთ ამ თემას და ცენტრალურ ქუჩებზე მაინც უზრუნველვყოთ ამ პირობების ჩადება შესაბამის სამსახურებთან კონსულტაციების გამართვის შედეგად."

კომისიის წევრი, ბატონი **ბესიკ ბრეგაძე:** „პირველი ყურადღებამისაქცევი საკითხი არის ნებისმიერი ზომის თუ ფორმის კიბის უჯრედის მოწყობის შემთხვევაში, ხომ არ იზღუდება საფეხმავლო გზა ისე, რომ მოქალაქეებს გაუჭირდეთ გადაადგილება, მეორე-ეს ადანმიანები, რომლებიც განცხადებით შემოდიან არიან თუ არა იმ ქონების მეპატრონეები, ყოფილა შემთხვევა, რომ მოქალაქე მხოლოდ იმიტომ შემოსულა განცხადებით და აუღია იჯარით ფართი, რომ არ გაეხსნა იქ ობიექტი სხვა პირს. მესამე-ჩემი აზრით სტანდარტის დადგენა ვერ იქნება ეფექტური, ყველა კიბის უჯრედი ანალოგიური ვერ იქნება მარტივი მიზეზის გამო, ზოგს უნდა ჩასასვლელი კიბის, ზოგს ასასვლელი კიბის მოსაწყობად, ზოგს მთელი ვიტრაჟი აქვს მოწყობილი და მთლიანი კიბე ესაჭიროება, ზოგს კი-მეტრანახევრიანი კიბეც ჰყოფნის, აქედან გამომდინარე რაიმე სტანდარტის დაწესება იქნებოდა არასწორი."

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „შეიძლება ეს კიბის უჯრედი განსხვავდებოდეს ზომით, მაგრამ სასურველია ვიზუალი ჰქონდეს ერთნაირი."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მე-6 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ბორის ჯამბურიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე" და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მე-6 საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მე-7 საკითხის-„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე გრიგოლ წერეთელისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მირზა მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მე-7 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე გრიგოლ წერეთელისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე“ და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მე-7 საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მერვე საკითხის-„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე თალიკო გურეშიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მირზა მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მე-7 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე თალიკო გურეშიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე" და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მე-8 საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დასრულების გამო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან სანიკიძემ, კომისიის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ლევან სანიკიძე